15 აგვისტოს, № 18 1887 წლისა.

# მწყემსი

## მართებლობის განკარგულება.

საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა მიმართ (18 ივნისი 1887-ს წელსა, №. 9255). გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების შეგირდების მდგომარეობის განსაკარგებლად საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ ამიერიდგან მიიღებოდნენ ამ გვარ სასწავლებლებში მხოლოდ ის ყმაწვილები, რომელთაც კეთილ-საიმედო მზრუნველნი ჰყავთ; ეს მზრუნველნი სანდონი უნდა იყვნენ და უნდა იტვირთონ კიდეცა, რომ შინ ყმაწვილებს თვალ-ყურს ადევნებენ და არაფერს მოაკლებენ, რაც-კი სწავლისათვის საჭიროა. ამ სახით, ესეთის წესის მტკიცე აღსრულებით, გიმნაზიები და პროგიმნაზიები განთავისუფლდება ისეთის ყმაწვილებისაგან, როგორნიც არიან, მაგალითად, შვილები მეეტლეებისა, მოსამსახურეებისა, მზარეულებისა, მრეცხელი დედაკაცებისა, მეწვრილმანეებისა, ღარიბ მედუქნეებისა და სხვა ამისთანათა. ესეთი ყმაწვილები არას გზით არ უნდა მოაშოროთ იმ ხალხს, საცა აღზრდილან; თუ მოშორებაა, მხოლოდ ისინი იქმნან მოშორებულნი, ვინც დიდს ნიჭს გამოიჩენს. თორემ, როგორც მრავალ წელთა გამოცდილება გვიმტკიცებს, ასეთი ყმაწვილები, თავიანთ წრეს მოშორებულნი, მშობლებს უკადრისად და ცუდ-მედიდობით ეპყრობიან, თავიანთ ყოფა-ცხოვრებას არ ემადლიერებიან. ჩივიან თავიანთ სიღარიბეს და შფოთავენ, როცა ჰხედავენ, რომ ქვეყანაზე ყველა თანასწორი და თანაბარი არ არის სიმდიდრითა და შეძლებითა. თქვენის აღმატებულებისათვის მოგვინდვია, რომ აუხსნათ და განუმარტოთ გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების უფროსებს ეს ახალი განკარგულება. ამასთანავე სასარგებლოდ მიგვაჩნია, რომ, როცა ყოველივე ეს შეატყობინოთ და გამოუცხადოთ გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების უფროსებს, დასძინოთ შემდეგიცა: გიმნაზიის და პროგიმნაზიის უფროსმა, როცა მშობელი არზას შეიტანს, კიდრე ყმაწვილს გამოცდიდეს და ეგზამენს დაატკრინებდეს, ჰკითხოს, რა შეძლების პატრონია, რა ოჯახია მისი ოჯახი, როგორ ზრდის ყმაწვილებს და სხვა. და თუ აღმოჩნდა ამ გამოკითხვით და ცნობათა შეკრებით, რომ მისი ოჯახი ისეთი არ არის, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, უსათუოდ ურჩიოს და ურჩიოს, რომ მისცეს თავისი შვილი ისეთს სასწავლებელში, საცა სწავლა ცოტას ხანს არის და უფრო შეეფერება კიდეც იმის ქონებასა და ოჯახის მდგომარეობასა. გარდა ამისა თუ მიღებულ ყმაწვილთა შორის აღმოჩნდებიან იმისთანანი, რომლებსაც თავიანთ მშობელთა შინაურ მდგომარეობის გამო ცუდი გავლენა აქვთ თავიანთ ამხანაგებზე, მაშინ იგინი უსათუოდ დათხოვნილ უნდა იქმნენ გიმნაზიებისა და პროგიმნაზიებისაგან იმ ორის წლის ვადის მიუხედავად, რომელიც აღნიშნულია 34 §-ში გიმნაზიების და პროგიმნაზიების წესდებისა, ან და იმ წესების მიუხედავად, რომელნიც შეეხებიან სხვა-და-სხვა ხარისხს დასჯისას. რადგანაც გიმნაზიები და პროგიმნაზიები ამზადებენ ყმაწვილებს უნივერსიტეტებისათვის და სახელმწიფო და საზოგადო მაღალ სამსახურისათვის, ამიტომაც ამ სასწავლებლებში უნდა იყვნენ ისეთნი, რომელნი თან კარგად სწავლობენ და თან კარგის ყოფა-ქცევისანი არიან და ამიტომაც შემდეგაც აქვთ კარგ აღზრდილ კაცებად გასდნენ. გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების უფროსებს ადვილად შეეძლებათ თავდებათ დადგნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა, რომ ის ყმაწვილები შემდეგაც ცხოვრებაში კეთილ-საიმედონი იქმნებიან. სუყველაზე პირველი კიდევ ის არის, რომ უფროსთ სინდისიც მოსვენებული ექმნებათ ამ შემთხვევაში. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, გამოაცხადოთ, რომ მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისიდგან თვითოეულ შეგირდმა უნდა გადაიხადოს 40 მან. სწავლის ფასი იმ გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში, რომლებშიაც დღემდის 40 მანათზე ნაკლები იყო სწავლის ფასი. სწავლის ფასის მომატება იმიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის საჭირო, რომ სწავლის განკარგება გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში და ზედამხედველობის გაძლიერება მოითხოვს მომეტებულს ხარჯსა. მაქვს პატივი გაუწყოთ თქვენს აღმატებულებას, რომ ამ საგნის შესახებ შესაფერი განკარგულება მოახდინოთ.

## მიწერილობა იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა «მწყემსი»-ს რედაქტორის, დეკანოზის დ. ღამბაშიძისადმი 31 ივლისიდგან 1887 წლისა №-2045.

სადმელის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოებამ თავის შეკრებილებაზე, რომელიც მოხდა წარსულის თვის თებერვლის 12, დაადგინა: თვითოეულმა ჩვენგანმა მღვდელმა შეიტანოს ათ-ათი მანეთი, ხოლო თვითოეულმა მედავითნემ ორ-ორი მანეთი ნიშნად პატივის ცემისა ადგილობითი ბლაღოჩინის ალექსი შარაბიძის ექვსი წლის პატიოსანი და უსაყვედურო სამსახურისათვის ბლაღოჩინობის თანამდებობაში იმ პირობით, რომ ეს შეკრებილი ფულები მოხმარებულ იქმნეს რაიმე საზოგადო საქმეზე, შეხედვისა მებრ თვით ბლაღოჩინის შარაბიძისა. სამღვდელოების ასეთი დადგენილობა რაპორტით მომახსენა მე თვით ბლაღოჩინმა შარაბიძემ 7 ივლისიდგან ამა წლისა №-119 და მთხოვა ნებართვა, რათა ეს შეკრებილი ფულები მოხმარდეს ან მის საეკლესიო სამრევლო სკოლის ხელახლად გახსნას, რომელიც უკვე დაიხურა, ან ამ ფულებით მისი საბლაღოჩინოის ყოველ ეკლესიაზე დაწესებულ იქმნეს საეკლესიო გალობა. სადმელის საბლაღოჩინოის სამღვდელოების ესრეთი გადაწყვეტილება პატივსა სდებს როგორც სამღვდელოებას, ისე მათ პატივცემულ ბლაღოჩინს, შარაბიძეს, რომლის პატივის ცემისათვის მეც ჩემის მხრით ვსწირავ ოცს მანეთს; მასთან ასეთი დადგენილობა აღნიშნულის საბლაღოჩინოის სამღვდელოებისა ჩემთვის მეტად სასიამოვნო და სანუკვეშოა; ამასთანავე დავადგინე, რათა ეს შეკრებილი ფულები მოხმარდეს ქართულ-საეკლესიო გალობის დაფუძნების საქმეს აღნიშნული საბლაღოჩინოის ყველა ეკლესიებზე, რადგან ეს დიდ სარგებლობას მოუტანს ყველა ქრისტიანეთ.

გაცნობებთ რა ამას, წინა დაგიდებთ თქვენ, რათა სამღვდელოების ესრეთი გადაწყვეტილება დაბეჭდოთ თქვენს ჟურნალ «მწყემს»-ში. ეპარქიის სამღვდელოთა საცნობლად.

იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი.

## ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველო ამით უცხადებს მშობელთ, რომელთაც სურსთ ამ სასწავლებელში ყმაწვილების შემოყვანა, რომ მომავალის $188^7/_8$ სასწავლებო წლისათვის ამ სასწავლებელში და მოსამზადებელ კლასებში არის სულ 149 ვაკანსია. ამათში მეოთხე კლასში არის 25 ვაკანსია; მესამეში—16; მეორეში—8; ზედა მოსამზადებელ კლასში—11; მეორე მოსამზადებელში—4 და დასაწყის განყოფილებაში—85.

2) მოსამზადებელი კლასის პირველ განყოფილებაში მიიღებიან ყმაწვილები შვიდი წლიდგან არა უმეტეს ცხრა წლისა.

3) ამ განყოფილებაში ყმაწვილები მიიღებიან უეგზამენოდ, მაგრამ, თუ მსურველთა რიცხვი აღემატა თავისუფალ ვაკანსიებს, მაშინ ყმაწვილები იქმნებიან მიღებული გამოცდით; შემდეგ კლასებში ყმაწვილები მიიღებიან კლასის შესაბამი ცოდნით და წლოვანობით.

4) თხოვნები ყმაწვილების მიღებაზე შემოტანილ უნდა იქმნენ სასწავლებლის ზედამხედველის სახელობაზე. თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მოწმობანი ყმაწვილის შობის და მონათვლისა და მასზედ, რომ ყმაწვილს ან უხდია და ან აცრილი აქვს ყვავილი.

5) განმეორებითი და მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოდამ და გაგრძელდება ამა თვის 28.

15-ს აგისტოს. № 18 1887 წელსა.

# მწყემსი

1883-1887

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად | | 5 მან. |
| ნახევარი წლის — | — | 3 — |
| «მწყემსი» რუსული დამატებით | — | 6 — |
| ნახევარი წლით — | — | 4 — |
| ცალკე რუსული დამატება წლით | — | 3 — |
| ნახევარი წლით — | — | 2 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Кваирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატეია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## ერთი უმთავრესი საშუალება ხალხის ეკკლესიებში შეკრებისათვის წირვა-ლოცვის მოსასმენად.

«ხალხი აღარ დაიარება ეკკლესიებში წირვა-ლოცვის მოსასმენად, გაუგრილდა მას გული ეკკლესიებში სიარულზედ; ვილას ნახავთ, ბატონო ეკკლესიებში კვირა-უქმ დღეებში?“ აი სიტყვები, რომელნიც თქვენ ნიადაგ გესმისთ როგორც მღვდლებისაგან, ისე ერის კაცთაგან. ყველას სამწუხაროდ მიაჩნია ეს არა სანატრელი მოვლენა, ეს საზოგადო სენი ჩვენი ეხლანდელი დროისა. მაგრამ გულ-გრილნი სარწმუნოებისადმი ყოველთვის ყოფილან, არიან და შემდეგშიაც იქნებიან. მხოლოდ ეს კია, რომ ამისთანა გულ-გრილნი წინა დროებში ყოველთვის საზოგადოების უმცირეს ნაწილს შეადგენდენ. დღეს კი, ჩვენდა სამწუხაროდ, ყველგან, განსაკუთრებით ჩვენს საქართველოში ხალხი მეტის-მეტ გულ-გრილობას იჩენს როგორც სარწმუნოებაზე, ისე საზოგადოდ ყოველ ეკკლესიურ საქმეებში. ნაყოფი და შედეგი ამ გულ-გრილობისა ცხადია ყველასათვის. Цარცვა-გლეჯა, სულ უბრალო საქმისათვის თავისი მოყვასის ჩეხა და კვლა, აი ნაყოფი ამ გულ-გრილობისა და ეკკლესიიდგან ხალხის განშორებისა.

რა არის ამ სამწუხარო მოვლენათა მიზეზი? რატომ აღარ დაიარება ჩვენი მართლ-მადიდებელი ხალხი ეკკლესიებში წირვა-ლოცვის მოსასმენად? ამ სამწუხარო მოვლენათა მიზეზი ბევრნაირია, მაგრამ დღეს ჩვენ ამ მიზეზების გამოკვლევას არ გამოუდგებით, მხოლოდ აღვნიშნავთ ზოგიერთ იმ საშუალებათ, რომელთა შემწეობით შეგვიძლია ხალხს შევაყვაროთ ეკკლესიებში სიარული წირვა-ლოცვის მოსასმენად.

ტყუილად შევსცქერით სამოქალაქო მთავრობას და ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი იხმარს ყოველივე ღონეს და აღუკრძალავს ჩვენს ხალხს კვირა-უქმ დღეებში მუშაობას, მახლობელ დაბებში და ქალაქებში უსაქმოდ სიარულს და სამიკიტნოებში დროების ტარებას, მაშინ როცა ეკკლესიებში წირვა-ლოცვა სრულდება. ველოდებით, რომ სამოქალაქო მთავრობა დღეს ან ხვალ მოვალეობად დაუდგენს მართლ-მადიდებელ ხალხს კვირა-უქმ დღეებში ეკკლესიებში სიარულს. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლოდინი ტყუილად ჩაგვივლის. ამიტომ დროა, თვითონ ჩვენ, მწყემსთა ჩვენი სამწყსოის ზოგიერთი პატიოსანი და ღვთის მოშიში პირების დახმარებით და შემწეობით ვიხმაროთ სხვა-და-სხვა ზომები, რომ ჩვენ ხალხს შევაყვაროთ ეკკლესიებში სიარული. რა საშუალება უნდა ვიხმაროთ ჩვენ, მწყემსთა, რომ კვირა-უქმ დღეებში ხალხი ხალისით დადიოდეს ეკკლესიებში? ერთი უმთავრესი საშუალება, რომლის შემწეობით შეგვიძლია შესამჩნევად მოვიზიდოთ ხალხი ეკკლესიებში კვირა-უქმ დღეებში წირვა-ლოცვის მოსასმენად, არის, ჩვენის აზრით, კარგად გაწყობილი საეკკლესიო გალობა და საეკკლესიო წიგნების კარგად და გაგებით კითხვა. მთელს რუსეთში დღეს დიდი ყურადღება არის მიქცეული საეკკლესიო გალობაზე. ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ ეკკლესიებში ყველგან ჰყავდეთ საკუთარი მგალობლები. ამასაც არ კმარობენ. ბევრგან მეცადინობენ, რომ მთელ სამრევლოს ასწავლონ საეკკლესიო გალობა, რომ ყველა მლოცველთ შეეძლოთ ეკკლესიებში გალობა. ამ მეცადინეობას ბევრგან სანატრელი ნაყოფი მოაქვს და ბევრს ეკკლესიებში მლოცველების ყურთა-სმენა დამტკბარია მშვენიერი საეკკლესიო გალობითა.

ჩვენში რა ღონის ძიებას ვხმარობთ დღეს ამ საგნის შესახებ? სრულებით არაფერს. წინა დროებში ჩვენის სოფლის ეკკლესიებში კვირა-უქმ დღეებში ორპირი და სამპირი გალობა გაჩაღებული ყოფილა ხოლმე. დღესაც ხშირად შეხვდებით ასეთ მგალობლებს ჩვენს ეკკლესიებში ტაძრის დღესასწაულ დღეებში. მაგრამ ამ პირთა გალობა სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მლოცველებზე, რადგან ამ მგალობელთა, ერთი რომ, ხეირიანად არ იციან საეკკლესიო გალობა და, მეორედ, ხშირად ისე დამთვრალნი არიან ხოლმე, რომ თვითონაც არ გაეგებათ, რაღაცას გალობენ. უმეტესად კი ეკკლესიის მედავითნენი ჰგალობენ ეკკლესიებში წირვა-ლოცვის დროს. მაგრამ გამოტეხილად უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთ მედავითნეთა გალობა არამც თუ ხალხს არ მიიზიდავს ჩვენა ეკკლესიებში, არამედ სალოცავად მისულსაც აიძულებს, რომ წირვა-ლოცვის მოსმენას თავი დაანებოს და ეკკლესიიდამ გამოვიდეს. ხშირად მღვდლისა და მგალობლის ხმა სრულებით არ უდგება ერთმანერთს. ასეთი საეკკლესიო გალობა მლოცველებში ნაცვლად სიამოვნებისა ჰბადავს უსიამოვნებას და აიძულებს მლოცველებს ეკკლესიიდგან გამოსვლას. რაც შეეხება საეკკლესიო წიგნების კითხვას, არც ამ მხრით არიან ჩვენი მედავითნენი სრულნი. ჩვენი სამღრთო და საეკკლესიო წიგნების სიტყვები თუმც ადვილი გასაგებია მლოცველთათვის, მაგრამ ხეირიანი მკითხველები არა გვყავს და სრულებით გაუგებელი რჩება მლოცველთაგან ის, რაც იკითხება ეკკლესიებში. ზოგიერთი მკითხველებისათვის სასვენებელი ნიშნები სრულებით არ არსებობენ. ხშირად მკითხველი ისვენებს იქ, სადაც არ უნდა გაჩერება. ასეთი კითხვით აზრი ირღვევა და მლოცველიც ვერას იგებს. მლოცველიც დაფიქრებულა და სდგას გაუმძრევლად, საათობით მისჩერებია კანკელის ფიცრებს, რომლებზედაც ხშირად არავითარი მხატრობა არ მოიძებნება. მაშ რაღამ უნდა მიიზიდოს ჩვენი ხალხი ეკკლესიებში? მის ყურთა-სმენას არ ატკბობს ხეირიანი გალობა, არ ესმის მას მედავითნის კითხვა და არც ეკკლესიის მორთულობა იზიდავს მის ყურადღებას და გულს. ერთხელ რომ მოვიდეს ეკკლესიაში, მეორედ ველარ მოიყვან, და თუ მოვიდა, ლოცვის მოსმენის მაგიერ, სხვას ელაპარაკება ეკკლესიაში და ამ მუსაიფით ართობს თავის თავს.

იყო დრო, როდესაც საქართველოში დიდი ყურადღება ჰქონდათ მიქცეული საეკკლესიო გალობაზე მღვდელსაც და ერსაც. დიდს და პატარას, თავადს და გლეხს საქებრად მიაჩნდათ საეკკლესიო გალობის ცოდნა, მაგრამ დღეს ჩვენმა ქართველებმა ამ საგნის შესახებაც იცვალეს ფერი. უნდა ვსთქვათ გამოტეხილად, რომ პირველი გულ-გრილობა გალობის საქმეში თვითონ სამღვდელოებამ გამოიჩინა. თითქმის აგერ ერთი საუკუნე თავდება და სამღვდელოება არავითარ ღონის ძიებას არ ხმარობს საეკკლესიო გალობის აღსადგენად.

მივაქცევთ ჩვენი მკითხველების ყურადღებას ამავე ნომრის აფიციალურ ნაწილში დაბეჭდილ მოწერილობას იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისას სადმელის საბლაღოჩინო მაზრის სამღვდელოების დადგენილობის შესახებ. როგორც ამ მოწერილობიდამ სჩანს, სადმელის საბლაღოჩინო მაზრის სამღვდელოთა გულითადი პატივის ცემის ნიშნად თავის ბლაღოჩინის მ. ალექსი შარაბიძისადმი, რომელიც ექვსი წლის განმავლობაში პატიოსნად და უსასყიდლოდ ასრულებს თავის თანამდებობას, შეუკრებიათ კარგა ბლომად ფულები და წარუდგენიათ ბლაღოჩინისათვის, რომ მან ეს ფულები მოიხმაროს თავის სურვილისამებრ, ან საეკკლესიო გალობის აღსადგენად და ან სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. შეკრებილი ფული ყოვლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამღვდელოისაგან დანიშნულ იქმნა საეკკლესიო გალობის აღსადგენად ხსენებულ საბლაღოჩინო მაზრის ეკკლესიებში.

თუ რამდენად სასიხარულო და სასიამოვნოა ჩვენს დროში სადმელის საბლაღოჩინო მაზრის სამღვდელოთა მოქმედება, ვგონებ, ცხადია ყველასათვის და განმარტება არ სჭირდება ამ სამაგალითო საქციელს. პატივი და დიდება სადმელის საბლაღოჩინოის სამღვდელოებას, რომელმაც ღირსეულად დააფასა თავისი ბლაღოჩინის კეთილი სამსახური და არ დაიშურნა ფულის შეწირვა იმისთანა კეთილ საქმეზე! პატივი და დიდება თვით ბლაღოჩინს, მამა ალექსი შარაბიძეს, რომელმაც თავისი პატიოსნური სამსახურით ამისთანა სიყვარული დაიმსახურა მისდამი რწმუნებული საბლაღოჩინოის სამღვდელოებაში! ნუ თუ ამ სამაგალითო და საქებ საქმეში მიმბაძველნი არ აღმოუჩნდებიან სადმელის საბლაღოჩინო ოლქის მღვდლებს მთელს საქართველოში?

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## ღია წერილი მოძმესთან.

დიდი ხანია, ძმაო, რაც ჩვენ ერთი-ერთმანერთს დავშორდით. ამ დღიგან არც კი ვიცოდი, თუ სად და რა სამსახურში იყავით თქვენ. ამიტომ ვერც წერილის მოწერას ვახერხებდი, რომ ჩემი გულის ვარამი შენთვის მაინც გამეზიარებია. ამ ბოლოს დროს გაზეთის საშუალებით შევიტყე, რომ თქვენთვისაც ბედს ერთ მეტად მივარდნილ ადგილს ურგუნებია ცხოვრება. თქვენც ჩემსავით ხალხის დამწყსვა გიდევიათ თავზე. მაშ ეხლა უფრო ძმები გავმხდარვართ და გაზეთის საშუალებით მაინც გაუზიაროთ ხოლმე ერთმანერთს ჩვენი ფიქრი და დარდები, თორემ რიონის მარცხენა მხარეში, სადაც ბედმა მე ცხოვრება მარგუნა, კაცი არ არის, რომ შენი ფიქრი ანდო და გრძნობა განუზიარო. სად წახვალ, ვის მიმართავ? თანამგრძნობელი არა გყავს! ყველას თავისი წვრილმანი პიროვნული ინტერესები ადგია ენაზე! შენ რომ საზოგადო რამეზე დაუწყებ ბაას, ის მუდამ თავის სახსოვარს «მე»-ს ეტრფის და შენი საზოგადო ინტერესები არაფრად «ეპიტნავება». სად არიან შენი თანა ძმა მღვდლები? შეიძლება მკითხოს ვინმემ; სად არიან? განა არ იცი ზოგიერთი ჩვენი მოძმეების მიმართულების ამბავი? რაღათ მკითხავ?!

მე მოხარული ვარ, რომ ბედისბორბალმა შენც ჩემებრ შეგმოსა. ეს სამოსელი მძიმე რამეა, თუმც დაუკვირდებით. მარტო ფუფუნებისათვის კი არ არის დაწესებული ჩვენი მოვალეობა, როგორც, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი ფიქრობს. მართალია, ყოველ ხელობამ უნდა ასაზრდოოს კაცი, მაგრამ ჩვენი ხელობა სულ სხვაა. იმას სულ სხვა დანიშნულება აქვს. რასაკვირველია, როგორც კაცს, შესაფერი ცხოვრება ჩვენთვისაც საჭიროა; მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ცხოვრება უმნიშვნელო და უსარგებლო არ იქმნეს და ჯეროვანი სარგებლობა მოუტანოს მათ, ვისთვისაც განწესებულვართ. უნდა გვახსოვდეს ყოველთვის, რომ ჩვენდამი რწმუნებულნი, სულიერნი მოწაფენი კი არ არიან ჩვენდა სასარგებლოდ დანიშნულნი, არამედ ჩვენ ვართ დანიშნულნი, რომ ვიზრუნოთ მათ სულიერ აღზრდაზე, მათ კეთილდღეობაზე და მათ სულიერ წარმატებაზე. თუმც ჩვენ შრომისთვის ვღებულობთ სასყიდელსა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ «საშრომელს» შრომა უნდა. სამწუხაროდ ჩვენც ისეთი შეძლებულნი არავართ, რომ უსასყიდლოთ შევსძლოთ ჩვენი მოვალეობის შესრულება; მაგრამ ნაცვლად ამისა ყოველი ჩვენი ღონე და ცოდნა უნდა ვიხმაროთ, რომ უმნიშვნელო და უსარგებლო არ იქმნეს ჩვენი სამსახური. მარტო «წირვა-ლოცვა» და ეკკლესიაში ლალადება კი არაა ჩვენი მოვალეობაა, როგორც ბევრსა ჰგონია; არამედ ბევრი სხვაცა! თუმც ჩვენი მოვალეობა დიდი და მძიმეა, მაგრამ თუ მას მუყაითად, ენერგიულად და კეთილ-განძრახვით მოვკიდებთ ხელს, მსუბუქად შევასრულებთ. მღვდელი თავის ცხოვრებით უნდა იყოს მაგალითი, თითით საჩვენებელი მისის სამწყსოისათვის! მღვდელმა სიტყვით და საქმით შემწეობა უნდა აღმოუჩინოს ყველას. ის უნდა იყოს მოყვარული თვისის სამწყსოისა. როგორც თავისი საკუთარი შვილის ცუდი ყოფა-ქცევა შეაწუხებს კაცს, ისე მღვდელს უნდა აწუხებდეს მისი სამწყსოის ცუდი ყოფა-ქცევა და უნდა ეცადოს სიტყვით და მაგალითით გაასწოროს სამწყსო და სწორ გზაზედ დააყენოს ის.

ვრცელი პროგრამა საჭირო არ არის, რომ სათითაოდ ჩამოვთვალოთ მღვდლის მოვალეობა. ავიღოთ, მაგალითად, ერთი რომელიმე მოციქულთაგანი და ისრე მოვიქცეთ. სხვათა შორის, ურიგო არ იქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, ძმაო, რომ ზოგიერთმა ჩვენმა მოძმეებმა წაიკითხონ (ვისაც ჯერ კიდევ არ წაუკითხავს) «გლახის ნაამბობი», ბატ. Ილ. Ჭავჭავაძისა და ამ მოთხრობაში ისინი ნახვენ კეთილი მღვდლის მაგალითს.

Შენ იქნებ იფიქრო, რომ ამ წერილს მარტო შენა გწერდე და შენ პიროვნებას ვეხებოდე და დარიგებას გაძლევდე. Ღმერთმა დამიფაროს! მართალია, შენ გწერ, მაგრამ იმედი მაქვს სხვებიც წაიკითხვენ ამ ჩემ წერილს! Იცი ვისი საშუალებით გწერ ამ ღია ბარათს? «მწყემსი»-ს, ჩვენი სასულიერო ორგანოს საშუალებით! მეცხრამეტე საუკუნის ბოლოში იმასაც მოვესწარით, რომ ჩვენ ჩვენი საკუთარი სასულიერო გაზეთი გვაქვს? Თუმცა მეოთხე წელიწადია, რაც «მწყემსი» დაიბადა და ფეხი აიდგა, მაგრამ მე ეს მოვლენა დღესაც ახალ სასიამოვნო ამბად მიმაჩნია.— Საჭირო არაა შენთვის, რომ აგიხსნა გაზეთის მნიშვნელობა საზოგადოდ და განსაკუთრებით სასულიეროსი; ჩემის ფიქრით ხუთიც რომ გამოდიოდეს ამ გვარი გაზეთი ამ ჩვენ საყვარელ საქართველოში, მაშინაც თუ დააკმაყოფილებენ ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილებას და ერთი ხომ ლუკმათაც არ გვყოფნის. მე ამას ვფიქრობ ჩვენი წოდების ერთ დასზედ, ხოლო ჩვენი მოძმეების მეორე დასისათვის ესეც მეტია. Ზოგიერთები გაშლიან ამ გაზეთს, ჩაითვლიან თითო ოროლა სიტყვას და ამბობენ: «რა მოცლილნი ყოფილან, რაები მოუროშავთო»!

Ბოდიშს ვიხდი, რომ ჩვენ სამღვდელოებას ორ დასად ვყოფ, მაგრამ საბუთიცა მაქვს. Თუმცა ყველას ერთი მოვალეობა გვადევს კისერზე და მიზანიც ერთია, მაგრამ, საუბედუროდ, ყველას ერთნაირად არ გვესმის და არც ვასრულებთ ჩვენ მოვალეობას. Ზოგ ჩვენგანს შემოსავლიან ადგილათ მიაჩნია მღვდელობა. Მხოლოდ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ისინი. Ზოგს (მეორე დასს) კი შეძლებისდაგვარად თვისი სამწყსოის სულიერი წარმატებისათვის უძგერის გული და ნივთიერი მდგომარეობა მეორე ხარისხზედ უყენია. Ამ მოსაზრებით გავბედე ჩვენი სამღვდელოების ორ დასად განაწილება. Სამწუხაროდ პირველ დასს უფრო მეტი ეკუთვნის, ამის დამტკიცება საჭირო არაა. Ყველას თვალ-წინ უდგია (ვინც უკვირდება) ჩვენი მოძმეების უმნიშვნელო ცხოვრება. Ამ დასის მღვდლები კეთილი მაგალითები კი არ არიან თავის სამწყსოისათვის, არამედ ისინი თავის ცხოვრებით და მოქმედებით უფრო რყვნიან სამწყსოს. Ამ გვარი მღვდლების წყალობით მათი სამწყსო გონებით წინ კი არ მიდის, უფრო უკან რჩება.

Მართალია, რომ ყოველ კაცს აქვს ნაკლი, მაგრამ ნაკლულევანება მღვდლისა სულ სხვაა. Რასაკვირველია, ზოგიერთი ნაკლულევანება, რომელიც ათასს და ორი ათასს ქრისტიანს თვალ-წინ უდგია და ზნეობით აფუჭებს მათ, მოსათმენი და შესაწყნარებელი არ არის. Უმჯობესია ამ გვარი მწყემსი სულ განიკვეთოს!

მღვდელი თეოფ. ნ:—მე.

## Ს Ა Მ Ე Გ Რ Ე Ლ Ო Დ Ა Მ.

Დიდი ხანი არ არის, რაც უწმიდესმა სინოდმა მოვალეობად დაუდგინა სამღვდელოებას საეკკლესიო-სამრევლო სკოლების გახსნა შტატის ეკკლესიებთან. Ამ სკოლებში მასწავლებლობის მოვალეობა უნდა აღასრულონ თვით ეკკლესიის მოსამსახურეთა. Უწმიდესი სინოდის ამ გვარი განკარგულება გამოეცხადა სამეგრელოის ეპარქიის სამღვდელოებას თავის მწყემსთ-მთავრისაგან. Ადგილობითი ბლაღოჩინები და ეკკლესიის კრებულნი შეუდგნენ ამ კეთილი საქმის განხორციელებას. Დღეს ბევრ შტატის ეკკლესიებთან არიან გახსნილნი საეკკლესიო სამრევლო სკოლები და სწავლაც ბევრში უკვე დაწყებულია. Თუ მამა ბლაღოჩინებმა და ეკკლესიის კრებულთ შემდეგშიაც განაგრძეს თავის მეცადინობა ამ საგნის შესახებ, მალე მოვესწრებით, რომ ყოველ შტატის ეკკლესიასთან იქნება დაარსებული ასეთი სკოლა.

Დღემდის რაც საეკკლესიო-სამრევლო სკოლებია გახსნილნი, მათში ასწავლიან უმაწვილებს თვით ეკკლესიის მოსამსახურენი, რომელთაც უმეტესად 4 კლასიან სასულიერო სასწავ. შეუსრულებიათ კურსი. Მართალია, ეს პირნი ისე გაწვრთნილნი არ არიან სწავლების საქმეში, რომ მათ შეეძლოთ მასწავლებლობის მძიმე მოვალეობის სისრულით აღსრულება, მაგრამ თუ ისინი ცოტა მუყაითობას გამოიჩენენ თავის მოვალეობისადმი, დარწმუნებულნი ვართ, რომ წერა-კითხვას, ცოტა ანგარიშს და ქრისტიან კაცისთვის საჭირო ცოდნას სარწმუნოების შესახებ მაინც გარდასცემენ მოსწავლეთ და ესეც დიდი დავალება იქნება ჯერ-ჯერობით სამღვდელოების მხრით. Შემდეგში, იმედია, ჩვენ სამღვდელოებაში გამრავლდებიან სასულიერო სემინარიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურს შესრულებულნი პირნი. მაშინ ჩვენი საეკკლესიო-სამრევლო სკოლები უკან არ ჩამოურჩებიან სასოფლო სკოლებს. დღესაც, ჩვენდა სასიამოვნოდ, სამრევლო სკოლებში შემსვლელთა რიცხვი უფრო ბევრია, ვინემ ზოგიერთ სასოფლო სკოლებში. გლეხებს დიდის სიამოვნებით შემოჰყავთ საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში როგორც ვაჟები ისე პატარა ქალები.

დღეს ზუგდიდის მაზრაში, მარტო ბლაღ. მ. ანჯაფარიძის საბლაღოჩინო ოლქში არის 4 საეკკლესიო-სამრევლო სკოლა, რომელნიც გახსნილნი არიან ეკკლესიის კრებულთა ხარჯით. ეს სკოლები წესიერად არიან მოწყობილნი და საჭირო საკლასო ნივთებიც აქვსთ. ამ სკოლებში ერთი სკოლა თვით ბლაღოჩინს მ. ანჯაფარიძეს აქვს გამართული თავის ხარჯით ს. ჟიწიაში.

ამ საბლაღოჩინო მაზრის, სოფლის ზარიხის საეკკლესიო-სამრევლო სკოლაში ივნისის თვეში ყმაწვილების გამოცდა იყო დანიშნული. ამ ეკზამენზე მეც ვიყავი მიწვეული. ჩემს გარდა ეკზამენზე დაესწრნენ: ადგილობითი შტატის მღვდელი მ. იოსე ქვერკველია და მასწავლებელი ქიწიის სამრევლო სკოლისა ზ. ქ. ქვერ—ლია. სკოლაში სულ ოცდა ორი მოსწავლე იყო. მასწავლებელს სამ განყოფილებათ ჰყავდა დაყოფილი მოსწავლეები. ზედა განყოფილებაში ჰყავდა 5 მოწაფე, მეორეში—6 და დასაწყისში—11. ყმაწვილებმა, რაც კი მათ მოეთხოვებოდათ პირველ წელს უწმიდესი სინოდისაგან დამტკიცებული პროგრამმით, კარგად იცოდნენ ყველა საგნები. სასიამოვნო სანახავი იყო, როცა პატარა ყმაწვილები ცოცხლად გვიგებდენ ყოველივე კითხვაზე, რომელიც მათ გავლილი ჰქონდათ. მადლობის ღირსია ამ სკოლის მასწავლებელნი ზ.ზ. მოსე და ანდრია ქვერკველები, რომელთაც თავის ხარჯით გაუხსნიათ ეს სკოლა და სწავლითაც რიგიანად ასწავლიან პატარა ყმაწვილებს.

ანტონ გეგუა.

## უხუთის საზოგადოებიდგან.

(ქუთაისის მაზრაშია).

უხუთის საზოგადოება შესდგება რამდენიმე სოფლებისაგან, რომელნიც ყოველი მხრიდგან შემოზღუდულნი არიან მთებითა და მაღალ გორაკებით. სამხრეთით ამ სოფლებს უდევს ახალციხის მთა, აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით მაღალი გორაკები. ამ საზოგადოებაში არის წმიდის გიორგის ერთი ეკკლესია, რომელსაც ზეგარდღის წმიდა გიორგის უწოდებენ. ამ ეკკლესიის შემომავალნი დღესასწაულობენ გიორგობას. დღეობის წინა ღამეს მრავალი მლოცველი იკრიბება ეკკლესიაზე ღამის სათევად. მეორე დღეს, წირვის გათავების შემდეგ ეკკლესიის მოსამსახურენი ეკკლესიიდგან გამოასვენებენ წმ. გიორგის ხატს. მღვდელს და მედავითნეს უკან ჩამწკრივდება ხალხი; ხატის წინ დადგება ორი კაცი ზარნახებით და ბუკით. შემდეგ იწყებენ ეკკლესიის გარ შემოვლას. ამ დროს ზარებს რეკენ, ბუკს დიდის ხმით აყვირებენ და მგალობელნი ჰგალობენ საეკკლესიო საგალობელთ. როცა ეკკლესიას მესამედ შემოუვლიან, ყველანი დადგებიან ეკკლესიის კარებთან. თვითოეულს მლოცველს მიაქვს თითო კაპიკი და აძლევს მღვდელს. შემდეგ ხატს შეასვენებენ ეკკლესიაში და დაასვენებენ თავის ადგილას. მღვდელი დადგება წმ. გიორგის ხატის წინ. რიგ-რიგით მიდიან მღვდელთან მლოცველნი და სწირავენ შესაწირავს. ყოველ კაცს მიაქვს შესაწირავად წმინდა სანთელი და ერთი აბაზი ან მეტი ფული. მღვ. იღებს ამ შესაწირავს, შემწირველს აჩოქებს ხატის წინაშე და იწყებს: «წმიდა გიორგი, ღვაწლით შემოსილო, ეს კაცი (სახელი და გვარი შემწირველთა) განაძლიერე, კარგად ამყოფე, უცოცხლე შინ მყოფი და გარედ გათხოვილი.» როცა მღვდელი დაასრულებს ამ სიტყვებს, ეკკლესიაში მდგომნი ერთად დაიძახებენ: «ღმერთო, მშვიდობა მიეცი.» თუმც ეკკლესიას ამ დღეობაზე და სხვა დროსაც დიდ-ძალი შესაწირი შემოდის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეკკლესია ძალიან ღარიბია; ეკკლესია არის ხისა, შიგ იატაკი არა აქვს. ეკკლესიაში ისეთნაირად ბნელა, რომ მასში წიგნის წაკითხვა დღეც უძნელდება მედავითნეს. ნუ თუ უკეთესი ეკკლესიის აღშენება არ შეუძლიათ ამ ეკკლესიის შემომავალთ, ან ამ ეკკლესიის შეკეთება არ შეიძლება იმ შესაწირით, რომელიც ყოველ წლობით შემოდის ეკკლესიას. ამ ეკკლესიის წმ. გიორგის ხატს სხვა გვარი შემოსავალიც ჰქონია, როგორც მითხრეს. ამ სოფელში სცხოვრებენ თურმე ორას კომლამდე ხურციძეები, რომელთაც ყოველ წლობით ეს წმ. გიორგის ხატი უნდა ჩააბვენონ თავის სოფელში ღამით. ამ ღამეს ხატს უნთებენ წმინდა სანთლებს, მეორე დღეს კი შესწირავენ თითო აბაზს და ხატი ისევ ეკკლესიაში მიაქვსთ. მეც კიდევ სხვა შე-



ყოვლად უსამღვდელოესი ისიდორე, მიტრაპოლიტი ნოვგოროდის და ს.-პეტერბურგისა.

## მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ისიდორე, მიტრაპოლიტი ნოვგოროდისა და პეტერბურგისა.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ისიდორე (ერის კაცობაში იაკობ ნიკოლსკი), შვილი მთავარ-დიაკვნისა, დაიბადა 1 ნოემბერს 1799 წელსა ტულის გუბერნიაში, კაშირის მაზრის სოფელს ნიკოლსკში. დაამთავრა რა სწავლა ტულის სასულიერო სემინარიაში, ახალგაზრდა ნიკოლსკი 1821 წელში შევიდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში უმაღლესი განათლების მისაღებად და კურსი შეასრულა 1825 წელში პირველ მაგისტრად და იმავე წელშა, 22 აგვისტოს აღკვეცილ იქმნა ბერად და სახელად ეწოდა ისიდორე. თავდა-პირველი სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასური იმან დაიწყო აკადემიაში, სადაც ის აღიზარდა; შემდეგ ამისა რა რომ არქიმანდრიტობა მიიღო 1829 წელში, იგი ზედი-ზედ რექტორობდა და პროფესორობდა ორლოვის და მოსკოვის სასულიერო სემინარიებში, და 1834 წელში ხელ-დასხმულ იქმნა დიმიტროვის ეპარქიის ეპისკოპოზად და მოსკოვის სამიტრაპოლიტო ქორ-ეპისკოპოზად (ვიკარი). 5 ივლისს 1837 წელსა გადაყვანილ იქმნა პოლოცკის დამოუკიდებულ ეპარქიის კათედრაზე; აქიდგან სწორედ ერთი წლის შემდეგ გადაყვანილ იქმნა მოგილევის ეპარქიის ეპისკოპოსად და 1842 წელში, 12 ნოემბერს დანიშნულ იქმნა ქართლის და კახეთის ეპარქიის მთავარ-ეპისკოპოსად და ამასთან დაინიშნა უწმიდესი სინოდის წევრად და ექსარხოსად საქართველოისა. აქ 1856 წელში მიიღო მიტრაპოლიტობა განსხვავებული მოღვაწეობისათვის ამიერ კავკასიაში საეკკლესიო საქმეების მართვის შესახებ; შემდეგ 1856 წელშივე დაინიშნა კიევის და გალიციის მიტრაპოლიტად და, ბოლოს, 1 ივლისს 1860 წლისა დანიშნულ იქმნა ნოვგოროდის და პეტერბურგის მიტრაპოლიტად უწმიდესი სინოდის უმთავრესი წევრის სახელ-წოდებით, ხოლო 21 აგვისტოს იმავე წლისა დანიშნულ იქმნა საიმპერატორო კაცთ-მოყვარე საზოგადოების რჩევის უმთავრეს მზრუნველად და თავსმჯდომარედ. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ისიდორე ითვლება საპატიო წევრად: კოპენჰაგენის საკოროლო ჩრდილოეთის ძველ ნაშთა საზოგადოებისა, საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიისა, რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებისა, მოსკოვის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებისა, მემკვიდრის ხელმწიფე ცესარევიჩის მუზეუმისა მოსკოვში, კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისა, პეტერბურგის უნივერსიტეტისა, საქიმო-ხირურგიული აკადემიისა, და სასულიერო აკადემიათა პეტერბურგის, მოსკოვის და კიევისა.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს ისიდორეს აქვს რუსეთის ყველა უმაღლესი ორდენები და ძვირფასი ქვებით მორთული სამღვდელო-მთავრო კვერთხი, რომელიც 1875 წელში უბოძა ღვთივ განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ; ამათ გარდა რუსეთის ეკკლესიის უპირველეს მწყემსთ-მთავარს 1884 წელში ორმოცდა-ათი წლის მღვდელ-მთავრობაში სამსახურის შესრულებას გამო ებოძა მისი იმპერატორებითის უდიდებულესობისაგან იმპერატორთა ნიკოლოზ I-ის, ალექსანდრე II-ის და ალექსანდრე III-ის საკაბინეტო სურათები, რომელნიც შეერთებულნი არიან ერთად და ძვირფასი თვალ-მარგალიტით არიან მორთულნი და აგრეთვე მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ მიიღო უმაღლესი ნება-რთვა მღვდელ-მოქმედების დროს მის წინაშე ჯვარით წინ მძღოლისა, რაც შეადგენს უმაღლესს საეკკლესიო პატივს, რადგან ჯვარით წინ მძღოლა არის განსხვავებული ნიშანი პატრიარქობის ხარისხისა. 30 აგვისტომდე 1885 წლისა ამ მიზნისათვის ხმარობდნენ პატრიარქი ნიკონის ჯვარს, რომელიც ინახებოდა სამების მონასტერში წმ. სერგიისა მოსკოვის მახლობლად; მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ისიდორეს მიერთვა საკუთრად მომზადებული ჯვარი 26 აგვისტოს ამავე წლისა მისი კაცთ-მოყვარე საზოგადოების უმთავრესს მზრუნველად ოცდა ხუთი წლის სამსახურის იუბილეის დღეს და ეს ჯვარი პირველად ხმარებულ იქმნა მღვდელ-მოქმედების დროს ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების და ალექსანდრე ნეველის დღესასწაულზე, 30 აგვისტოს. როგორც მდიდრული მორთულობით, აგრეთვე ნაკეთობის სიმშვენიერით ეს ვერცხლის ჯვარი წარმოგვიდგენს საუკეთესო ხელოვნურ ნაწარმოებს. ჯვარს აქვს რვა კუთხე, თითოეული კუთხე მორთული აქვს ძველი-ბიზანტიური ხელოვნებით და მიჭედილია შავი ხის ბუდეზე, რომელზედაც არის ვაშლის მსგავსი ვერცხლის ხუთი ბურთი აგრეთვე მოოქროვილი ისე, როგორ ჯვარი. ჯვრის მორთულ ბოლოებზე არია ციმბირის 11 ამეტისტო (ძვირფასი იის ფერი ქვა). ოთხი თეთრი მძიმე წონისა და ჯვრის შუა კუთხეში, ელვარების ნაცვლად, 4 ბირვილი (ძვირფასი ქვაა), რომელნიც მორთულნი არიან წვრილ-წვრილი თეთრი ბეჟმენტებით (ძვირფასი ქვაა). ჯვრის ზედა პირზე ამოჭრილია ჯვარცმა, რომელსაც წინ უდგიან ღვთის-მშობელი და მოციქული იოანნე ღვთის-მეტყველი, ზემოდ არის ღმერთი უფალი და სული წმიდა, რომლის აქეთ იქით მზე და მთვარეა. ჯვარცმას ფერხ ქვეშ დახატულია თავის სარქველი და ძვლები და წინედამ სახე იერუსალიმისა. ამ სურათის ზურგზე გამოხატულია: ღვთის-მშობელი ღრუბელზე, რომელსაც ხელთ უპყრია დაუსაბამო ყრმა და კვერთხი, ზემოდამ დახატულია ხელთ-უქმნელი მაცხოვარი (წმიდა საბლარდნელი), რომლის ქვემოდ, თითქმის შუა სადებზე, გამოხატულია ტახტი მუხლ-მოდრეკილი ღვთის მლოცველი და მადიდებელი ორის ანგელოზითურთ. ღვთის-მშობლის იქით-აქეთ დახატულია კეთილ-მორწმუნე და ღირსი მთავარი ალექსანდრე ნეველი და ღირსი ისიდორე პელოსიოტი. მათ შორის და ღვთის მშობლის ფერხით დახატულია სამი სერაფიმი. ჯვრის ქვედა წვერზე სლავიანური ასოებით დაწერილია: „ხელმწიფე იმპერატორის ნებითა და უწმიდესი სინოდის კურთხევითა გაკეთებულ იქმნა ჯვარი ესე წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასამღოლად ნოვგოროდის, პეტერბურგის და ფინლანდიის მიტროპოლიტის მღვდელ-მოქმედების დროს, სახსოვრად უსამღვდელოესის ისიდორეს ეპისკოპოსად ორმოცდა-ათი წლის სამსახურისა, რომელიც შესრულდა 11 ნოემბერს 1884 წელსა.“

ესრეთი მაღალი პატივი, რომელიც რუსეთში ამ თექვსმეტი წლის წინად მხოლოდ აღმოუჩინეს მოსკოვის უწარჩინებულესს მღვდელ-მთავარს ფილარეტს, საკმაოდ გვიხატვენ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის ისიდორეს ღვაწლთა ეკკლესიის და სამშობლოის კეთილდღეობისათვის. ეს ყველასაგან ცნობილი ღვაწლნი გამოხატულნი არიან როგორც უმაღლესს წყალობითი წერილებში (рескриптъ), ისე მრავალ ადრესებში, რომელნიც მიერთვა მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას სხვა-და-სხვა დროს მისგან შესრულებულ იუბილეის დღეთა.

დაიწყო რა თავისი მღვდელ-მთავრული სამსახური მიტროპოლიტ ფილარეტთან, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ისიდორე იყო შემდეგ, პოლოცკის და მოგილევის ეპარქიებში მღვდელ მთავრობის დროს, თვალ-და-თვალ მოწამე და მომქმედი მონაწილე დიდს სახსოვარის შემოერთებისა მართლ-მადიდებელ ეკკლესიასთან უნიატთა თეთრის რუსეთისა, ლიტვის მიტროპოლიტის იოსებ სემაშკოს დროს.

1818 წელში საქართველოს ექსარხოსად პირველად დაინიშნა რუსეთის მთავარ-ეპისკოპოსი თეოფილაქტე. ყოვლად სამღვდელო თეოფილაქტე დიდი განათლებული მღვდელ-მთავარი იყო, მაგრამ საუბედუროდ, მას ნაყოფიერ მოღვაწეობაში ხელს უშლიდა, სხვათ შორისა, სწრაფი ხასიათი. ყოვლად სამღვდელო თეოფილაქტეს შემდეგ საქართველოში ექსარხოსად იყვნენ ყოვლად სამღვდელონი ევგენი და იონა, მაგრამ ამ მღვდელ-მთავრებს დიდ-ხანს არ უმსახურნიათ ჩვენში. მთავარ-ეპისკოპოსი ევგენი ხასიათით ძალიან წააგავდა თეოფილაქტეს და ასეთი ხასიათით, ხომ მოგეხსენებათ, ბევრი საქმე ხდება.

როგორც ზემოთა ვსთქვით, მაღალ ყოვლად სამღვდელო ისიდორე დაინიშნა საქართველოს ექსარხოსად 12 ნოემბერს 1842 წელსა. ყოვლად სამღვდელო ისიდორემ მიტროპოლიტობა მიიღო საქართველოშივე 1856 წელში განსხვავებული სამსახურისათვის. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი მიტროპოლიტი ისიდორე დარჩა საქართველოში ექსარხოსად სულ 14 წელიწადი. ღვთის განგებით ყოვლად სამღვდელო ისიდორე დაინიშნა საქართველოის ექსარხოსად ისეთ დროს, როცა მისი აქ ექსარხოსად ყოფნა მიუცილებელ საპიროებას შეადგენდა. საქართველო როგორც ბუნებით არის განსხვავებული და შესანიშნავი კუთხე მთელ დედა-მიწის ზურგზე, ისე იგი იშვიათს სხვა-და სხვაობას წარმოგვიდგენს თავის მკვიდრთა ფერად-ფერადი გვარტომობით: აქ სცხოვრობენ ქართველნი, რომელნიც იყოფიან მრავალ თემებად. ამ თემთა, თუმცა ყველას ერთი შთამომავლობის ფესვი აქვსთ, მაგრამ დიდი განსხვავების ბეჭედი ასვიათ როგორც ენით, აგრეთვე ზნე—ჩვეულებით და ზოგან სარწმუნოებითაც. აქვე სცხოვრობენ, სხვათა შორის, სხვა თემის ხალხნიც, რომელნიც წინეთ ქრისტიანები ყოფილან, მაგრამ დღეს კი მაჰმადიანობის აღმსარებელნი არიან სხვა-და-სხვა დროთა-ვითარებისა გამო. ბოლოს დროს სასულიერო მთავრობის მოღვაწეობით ამ ხალხებში ქრისტიანობის აღდგინებას შეუდგნენ და წარმატებასაც მალე მისწვდენ. ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ გადარჯულებულ ხალხს ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად დიდი სიფრთხილით, ადამიანის გულის ცოდნით და გამჭრიახობით მოპყრობა და მოქცევა უნდა. მცირედი შეცდომა ამ შემთხვევაში არა თუ არ შეაყენებს თვით დაწყებულს საქმეს, არამედ მთლად ანგრევს იმასაც, რაც გამოცდილ წინა-მოადგილეთ გაუკეთებიათ. სწორედ ამ გვარი მოღვაწე სჭირდებოდა მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღდგინებას ხსენებულ გამაჰმადიანებულ ხალხებშიაც და ესრეთი მოღვაწე, შემკული სრული ღირსებით, იპოვა საქართველომ მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს ისიდორე მიტროპოლიტში. ამ სამაგალითო მღვდელ-მთავარში უხვად იყო მოთავსებული ერთის მხრით წრფელი სიყვარული ხალხისადმი, ცხოველი სურვილი მისი კეთილად აღორძინებისა და აღყვავებისა და მეორეს მხრით იშვიათი ადმინისტრატიული ნიჭიერებანიც. გასაკვირი არაა, რომ ამ წარჩინებულ თვისებათა მალე მოჰყვა ხალხის ღრმა სიყვარული ამ მღვდელ-მთავრისადმი და თვალ-საჩინო ნაყოფიც გამოიღო ყველა მის-მიერ ხალხის საკეთილოდ დაწყებულმა საქმეებმა. მოკლედ აღვნიშნავთ ყველა იმ დიდ საქმეთა, რომელნიც უკვდავად ხდიან მთელი ქართველი ერისათვის ამ შესანიშნავი ექსარხოსის სახელსა და მოღვაწეობას.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა მიტროპოლიტმა ისიდორემ მტკიცე საფუძველზე დაამყარა საეკკლესიო საქმეების კეთილ-განწყობილება თავის საექსარხოსოის ყველა ნაწილებში, ამასთანავე მან გაასწორა მის წინად მყოფ ექსარხოსთა შეცდომილებანი და გაამრავლა საქართველოს ეპარქიების რაოდენობა, რასაც არსებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად ითხოვდა ამიერ და იმიერ კავკასიის მართლ-მადიდებელ მკვიდრთა გაზნეული მოსახლეობა და თემობითი სხვა-და სხვაობა. ამასთანავე მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა Iსიდორემ დიდი შემწეობა აღმოუჩინა მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღდგინებას და განმტკიცებას მთიულთა შორის, რომელთაგან ზოგნი ისტორიულ უბედურ გარემოებათა გამო გაჰმამადიანდნენ და ზოგნი, თუმცა ქრისტიანებად დარჩნენ, მაგრამ მათ სახელის მეტი ქრისტიანობისა არა შერჩენიათ რა.

ყოვლად სამღვდელო Iსიდორეს დავლილი და დათვალიერებული ჰქონდა ყველა ეპარქიები მთელს საქართველოს საექსარხოსოში. მას ამ საქმეში ვერ აბრკოლებდა ვერც ადგილის უსწორ-მასწორობა და ვერც ხეირიანი გზების უმექონელობა. Iგი ადვილად დაბძანდებოდა ცხენით და ათვალიერებდა საქართველოს ყველა შესანიშნავ ტაძრებს და მონასტრებს; მასთან იკვლევდა ადგილობრივ ხალხის მდგომარეობასაც.

თუმცა დიდმა დრომ გაიარა, რაც ყოვლად სამღვდელო Iსიდორე წაბძანდა საქართველოდამ, მაგრამ ყოველს მის ფეხის გადადგმას დღესაც დიდის კრძალვით მოიგონებენ საქართველოში ყველა მომსწრე პირნი.

(შემდეგი იქნება).

## ადრიანოპოლიდამ.

თუმცა ბოლგარები მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი არიან, მაგრამ ზოგიერთ საიდუმლოებს არ ასრულებენ ისე, როგორც ამას მოითხოვს მსოფლიო კრებათა და წმიდა მამათაგან დადგენილი კანონები. პირველად, მაგალითად, საიდუმლო ნათლის-ღება. ახლად დაბადებულ ყმაწვილებს უსათუოდ მერვე დღეზე ნათვლენ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მერვე დღემდის ყმაწვილის მონათვლა აქ შეუძლებელია, თუ გინდ მოსანათლავი სასიკვდილოდ იყოს ავად. მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სწავლით შეიძლება ყმაწვილი ერის კაცმაც მონათლოს, როცა ყმაწვილი ავად არის და მღვდელი არ იშოვება. ამ შემთხვევაში ერის კაცმა უნდა აიყვანოს ყმაწვილი, სამ-გზის ჩასვას წყალში და წარმოსთქვას შემდეგი სიტყვები: ნათელს იღებს მონა ანუ მხევალი, სახელითა მამისათა ამინ, და ძისათა ამინ და სულისა წმიდისათა ამინ. ამის შემდეგ, თუ ყმაწვილი გადარჩა სიკვდილს, დანარჩენი წესი მღვდელმა უნდა შეასრულოს. აქ კი ათასი სასიკვდილოდ იყოს ყმაწვილი ავად, მას არავინ მონათლავს მერვე დღემდე. მერვე დღემდის ვინმემ ყმაწვილი კიდეც რომ მონათლოს, ეს ნათვლა კანონიერად არ ჩაითვლება. ნათლობის დღე უსათუოდ უნდა იქნეს ან კვირა და ან რამე დღესასწაული. სხვა დღეებში აქ ყმაწვილებს არ მონათლავენ. ზემოდ მოხსენებული ჩვეულებისა გამო აქ ბევრი ყმაწვილი იხოცება უნათლავად. მაგრამ არც მონათლულნი შეიძლება ჩავრიცხოთ კანონიერ მონათლულებად, რადგან აქაური მღვდლები ბევრ წესს აკლებენ საიდუმლო ნათლის-ღებას. აქაურს მღვდელს შეიძლება ერთხელ მეტადაც არ ჰქონდეს წმიდა მირონი მიღებული თავის მღვდელ-მთავრისაგან. ყველამ ვიცით, რომ წმიდა მირონი ყოველ წლობით მზადდება სადაც ჯერ არს და მერე ურიგდება მღვდელ-მთავრებს მათდამი რწმუნებულ ეკკლესიებზე დასარიგებლად საჭიროებისა მებრ. აქაურ მღვდელს თუ ერთხელ კი მოუტანია მირონი მღვდელ-მთავრისაგან, მას შემდეგში საჭიროდ აღარ მიაჩნია მირონის მოტანა. მღვდელს მხოლოდ ის ჭურჭელი აქვს შენახული, რომლითაც ერთხელ მოიტანა წმიდა მირონი და, როდესაც გამოელევა, ამ ჭურჭელში ჩაასხამს უბრალო ზეთს და ჰფიქრობს, რომ ეს უბრალო ზეთიც მიიღებს კურთხევას ამ ჭურჭლისაგან და ზეთი მირონად იქცევა. ბევრი დარწმუნებულია აქ, რომ მირონი გადმომდინარეობს ბალკანის ერთი კლდისაგან. ჯერ მღვდელი სცხებს მოსანათლავს ზეთს, მერე ნათლია აიღებს დანარჩენ ზეთს და მითი სცხებს ყმაწვილს მთელ ტანზე, რომ ამ სახით მონათლული სრული ქრისტიანი შეიქნეს. ნათლიას გამოცვლა აქ შეუძლებელი საქმეა, რადგან აქაურების აზრით ნათლიის გამოცვლასთან ერთად მისგან განათლულ ყმაწვილს მოაკლდება მისი ლოცვა-კურთხევა. აქაური კაცი ცოლზე კი აიღებს ხელს და ნათლიას კი ვერ გამოაცვლევინებ. ვისაც ერთ შვილს მოანათვლიებს, ყველა შვილები იმას უნდა მოანათვლიოს, თუ კი უწინდელი—ნათლია ცოცხალია.

—

ბოლგარიის მკვიდრნი, ამ მხარეში მომხდარ არეულობის შემდეგ, რომლისა გამო ბატტენბერგი, მთავარი ბოლგარიისა, იძულებულ შეიქმნა მიეტოვებინა მთავრობა, გაიყვნენ ორ ერთი-ერთმანერთის მოწინააღმდეგე დასად. ერთი დასი ეხლანდელი მმართველების მომხრეა, მეორე წინააღმდეგი. მთავრობა სდევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის მოწინააღმდეგეთ, რომელნიც იძულებულნი არიან მიატოვონ სამშობლო და თავის საცხოვრებელი ბინა და სხვაგან სადმე შეიფარონ თავი. ხალხს წინეთ თოფ-იარაღი ჰქონდა მთავრობისაგან დარიგებული, დღეს კი ეს იარაღი ყველას ჩამოართვეს. მთავრობისაგან დევნილები ზოგნი სათათრეთის სამფლობელოებში გადადიან და აქ იფარევენ თავს, ზოგნი კი, რომელთაც საშუალება არა ჰქონდათ, სხვაგან სადმე წასულიყვნენ, შეიმალენ ტყეებში და ავაზაკობას მოჰკიდეს ხელი. ან კი რა ჰქნან საწყლებმა? ტყეებში რათი ირჩინონ თავი. ხალხის ესეთი არა სანატრელი მდგომარეობა არის მიზეზი, რომ ბოლგარიაში დღეს კაცის ცარცვა-გლეჯა და კვლა ხშირი მოვლენა არის. კაცი შიშით გარედ ვერ გამოდის და, თუ გამოვიდა, შინ მშვიდობით დაბრუნების იმედი აღარა აქვს, რადგან ავაზაკებით სავსეა ტყეები და მინდვრები. ავაზაკებიც ძალიან უშიშრად მოქმედებენ: ისინი შეიპყრობენ კაცს; თუ საწყალს აქვს რამე, წაართმევენ და გაუშვებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭერილს წაიყვანენ ტყეში და დამალევენ. შემდეგ შეუთვლიან მის მშობლებს: «თქვენი შვილი ჩვენ გვყავს შეპყრობილი და თუ ამდენ ფულს არ გამოგვიგზავნით, შეპყრობილს თავს მოვსჭრით". საბრალო მშობლებმა უნდა იშოვონ სადმე ავაზაკებისაგან შემოთვლილი ფული და გაუგზავნონ მათ, რომ ამ სახით გადაარჩინონ თავის შვილი სიკვდილს. ამას წინეთ ავაზაკებს შეეპყროთ ერთი მღვ. და მედავითნე, რომელთათვის 6,000 მანეთი მოეთხოვათ ავაზაკებს. ამდენი ფული ჯიბეში კი არა სახლშიაც სად ექნებოდათ საწყლებს! მღვდელი დაეტოვებიათ ავაზაკებს და მედავითნე ფულის მოსატანად გამოეშვათ სოფელში. მედავითნე მოვიდა სოფელში და ეს ამბავი შეატყობია მამედ-ფაშას, რომელიც ქართველთაგანია, გვარად მახვახოვი. მამედ-ფაშამ დაუყონებლივ გაგზავნა ჯარის კაცნი ავაზაკების დასაჭერად და თან გაატანა მედავითნე, რომ მას ავაზაკების ბინა ესწავლებია ჯარისათვის. როცა ავაზაკებმა შეიტყეს ჯარის მიახლოვება, თავად გაიქცნენ და საწყალი შეკოჭილი მღვდელი მიატოვეს. ამ დღეებში ადრიანოპოლის მახლობლად ავაზაკებმა შეიპყრეს ორი მდიდარი გლეხის შვილები და სადღაც გადამალეს. მშობლებს შემოუთვალეს: „თუ გინდათ, შვილები დაგიბრუნოთ, 1,000 ლირა გამოგვიგზავნეთო." ჯარი დასდევს ამ ავაზაკებს დასაჭერად, მაგრამ ჯერჯერობით მათ კვალს ვერ მიაგნო. ერთ შეძლებულ გლეხს ავაზაკებმა მოსტაცეს 12 წლის ვაჟი და წაიყვანეს ტყეში. ყმაწვილის მამას შემოუთვალეს ფულის მოტანა, მაგრამ მამამ არ შეასრულა ავაზაკების თხოვნა. მაშინ ავაზაკებს გამოეჭრათ ყელი ყმაწვილისათვის, ჩამოეტანათ სოფლის ახლოს და დაეგდოთ მინდორში. მიცვალებულისათვის ერთი ლირა ხელში მიეცათ და ერთიც პირში. მიცვალებულთან დაეგდოთ ბარათი, რომელშიაც ეწერა: „ეს ფულები მღვდელს მიეცი და აწირვინე მიცვალებულისათვის.'' ანგარიში არა აქვს ეკკლესიების ცარცვას.

ტირნოვოს მახლობლად დიდი მთებია. ამ მთებში უწინდელ დროში მონასტრები ყოფილა აღშენებული, რომელთაგან ზოგი დღესაც არის დაცული და მათში სცხოვრებენ ბერძნის ბერები. ამ მონასტრების კედლებზე კაცი ხშირად შეხვდება ქართულ-ხუცურ ასოებით წარწერათა. ეს წარწერანი და ზოგიერთი გარდმოცემანი გვიმტკიცებენ, რომ ერთ დროს ამ მონასტრებში ქართველი ბერები ყოფილან. დღეს კი ამ მონასტრებს ბერძნის ბერები დაჰპატრონებიან. ზოგიერთ ავაზაკებს ამ მონასტრებში ჰქონებიათ თავ-შესაფერი ბინა. ბერებიც არ ამხელდენ ავაზაკებს, რადგან იმათი ნადავლით ბერებიც სარგებლებდენ ხოლმე თურმე. ამ ბოლო დროს მთავრობამ მიაგნო ავაზაკების კვალს ამ მონასტერში, სადაც ავაზაკებთან ერთად დაიჭირეს მათი მფარველი ბერებიც. დანარჩენი ბერები დაითხოვეს ამ ადგილიდგან და მონასტერი დასწვეს.

ქართველი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ორს აგვისტოს ქუთაისის საკრებულო ტაძარში და ბევრ სხვა ეკკლესიებში გადახდილ იქმნა პანაშვიდი გარდაცვალებულის მ. ნ. კატკოვის სულის მოსახსენებლად.

ამავე დღეს თბილისის სიონის საკრებულო ტაძარში და ქალაქის სხვა ეკკლესიებშიაც გადახდილ იქმნა ასეთივე პანაშვიდი. სიონის საკრებულო ტაძარში პანაშვიდი გადიხადა ყოვლად უსამღვდელოესმა ალექსანდრემ ქალაქის სამღვდელოებითურთ. პანაშვიდის დაწყებამდე ამ ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ელიევმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოკლედ გამოხატა მიცვალებულის მ. ნ. კატკოვის ვინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა და მოღვაწეობა. მქადაგებელმა მოიხსენა აგრეთვე, თუ რა სამძიმო და სამწუხაროა მთელი რუსეთისათვის ისეთი კაცის სიკვდილი, როგორიც იყო მ. ნ. კატკოვი.

***

სიონის სობოროში, უწმიდესი სინოდის განკარგულების თანახმად, 20 და 22 ივლისს შეუკრებიათ მლოცველებთ შორის 23 მ. და 85 კ. ქალაქ ვერნის მცხოვრებთა სასარგებლოდ, რომელთაც დიდი ზიანი მისცა ამ ქალაქში მომხდარმა მიწის-ძვრამ.

***

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ თბილისში, სიონის ტაძრის გალავანშიააშენეს საეკკლესიო-არქეოლოგიური მუზეი. დღეს ამ საგნის შესახებ გაზეთ «კავკაზ»-ში ვკითხულობთ შემდეგს: «მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იოანნიკემ საქართველოში ეგზარხოსად ყოფობის დროს განიზრახა საეკკლესიო მუზეის აღშენება თბილისში, მაგრამ ეს განზრახვა შეუსრულებელი დარჩა. 1884 წელში ხელახლად აღძრულ იქმნა კითხვა საეკკლესიო-არქეოლოგიური მუზეის აღშენების შესახებ და საქართველოს ეხლანდელი ეგზარხოსის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პავლეს მეცადინობით ეს საქმე სისრულეში მოვიდა. მუზეის ასაშენებელი ადგილი გამონახულ იქმნა სიონის სობოროს გალავანშივე. დღეს ამ მუზეისათვის საჭირო შენობა მზად არის. მუზეის შენობა არის ქვიტკირის და შესდგება ორი სართულისაგან. ზემო სართულში არის ერთი დიდი ოთახი, რომელსაც სიგრძე აქვს 14 არშინი და სიგანე 10. ძირა სართულში არის სამი ოთახი. ეს შენობა აღშენებულ იქმნა სიონის ტაძრის საშუალებით. რადგან ტაძარს ხელად თავის საშუალება არა ჰქონდა, ამიტომ ტაძარმა, სასულიერო მთავრობის ნება დართვით, ამ შენობის ასაგებად საჭირო ფული ისესხა აქაური ეპარქიალური წმინდა სანთლის ქარხნისაგან. მუზეის შენობადაჯდა სულ 9,000 მ. მუზეისთვის უკვე შეკრებილია რამოდენიმე ნივთები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვსთ არქეოლოგიური და არქეოგრაფილი მხრით.

***

გაზეთ «ნორ-დარ»-ს ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდამ, რომ სომეხთ პატრიარქს მაკარის მოუხდენია განკარგულება, რომლის ძალით ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიაში უნდა გაგზავნილ იქმნენ სათათრეთის იმპერიის სხვა-და-სხვა სამთავრობელოებიდამ და რუმინიიდამ თორმეტი ახალგაზდა ყმაწვილი, რომელნიც უნდა აღიზარდენ აკადემიის საკუთარი ხარჯით.

***

პავლოვსკის სახელის ეკკლესიის დეკანოზს სილინს, როგორც გვაუწყებს ერთი რუსული გაზეთი, შეუდგენია წირვის ახალი განმარტება. ლიტურგიასთან ერთად განმარტებულია თურმე თორმეტი საუფლო დღესასწაულებიც. ავტორი ჯერ საზოგადოდ ლაპარაკობს ლიტურგიაზე, უჩვენებს მკითხველთ ლიტურგიის ისტორიულ მსვლელობას და შემდეგ ხსნის ყველა დღესასწაულებს ქრისტეს შობიდამ. გაზეთის სიტყვით ასეთი სპეციალური განმარტება წირვისა და მასთან ასეთი გასაგები ენით დაწერილი წიგნი პირველად იბეჭდება თურმე რუსულს ენაზე.

***

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის განკარგულებით იმერეთის ეპარქიის ყველა ეკკლესიებში იკრიბება დღეს ფულები ქალაქ ვერნის მცხოვრებთა სასარგებლოდ. შესანიშნავია, რომ მეტად ღარიბნიც კი სიხარულით სწირავენ ფულებს ამ საგნისათვის.

***

ამ დღეებში თბილისში დაიბეჭდა კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების ანგარიში 1886 წლისა. მეორე წელიწადია, რაც ეს საზოგადოება ახალი წესდების ძალით ჩამოერთვა სამოქალაქო უწყებას და გადვიდა უწმიდესი სინოდის განკარგულებაში. ანგარიშიდამა სჩანს, რომ 1886 წელში საზოგადოებას ახლად მომატებია 97 წევრი. ამ 97 წევრში 92 პირი ჩაწერილა საზოგადოების მუდმივ წევრად. პირველს იანვარს 1887 წელსა ყოფილა სულ 1,177 წევრი; ამ 1,177 წევრში 54 კაცი ყოფილა წლიური წევრი საზოგადოებისა, დანარჩენი კი მუდმივი. ამ საანგარიშო წელში საზოგადოებას კაი ძალი ფულები ჰქონია, და სახელდობრ: პირველ იანვარს 1886 წელსა საზოგადოებას დარჩენია წინა წლიდამ 10,525 მანეთი და 20 კ., საანგარიშო წელში შემოსვლია 158,614 მ. 17 კ., ასე რომ მთელი შემოსავალი ყოფილა 169,139 მ. 45 კ. შესავალში, სხვათა შორის, ნაჩვენებია 76,000 მ., რომელიც მისცემია საზოგადოებას მთავრობისაგან ყარაიასის მამულების შემოსავლის ნაცვლად; 30,000 მ. შემოსვლია საზოგადოებას რუსეთის საიმპერატორო და სამეფო ორდენების კაპიტულისაგან და 19,932 მ. მთავრობისაგან უწმიდესი სინოდის ხარჯთა აღრიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვისა მებრ, 23,899 მ. 64 კ., რომელიც შეკრებილია მთელს რუსეთში კრუჟკებით. მთელ საანგარიშო წელში დახარჯულა 142,504 მ. 55 კ. პირველ იანვრისათვის 1887 წლისა საზოგადოებას დარჩენია თავისუფალი ფული 26,634 მ. 90 კ. გასავლის უმთავრეს ხარჯს შეადგენს სამღვდელოების შენახვა და შემწეობა, რომელზედაც დახარჯულა 81,179 მ. 65 კ.; სხვა-და-სხვა სასწავლებლებში პანსიონერების შესანახავად, საზოგადოების 25 სასწავლებელზე და საზოგადოდ სასწავლებლო საქმეზე საზოგადოებას დახარჯვია 32,970 მ. 13 კ., ახალი ეკკლესიების აშენებაზე, საეკკლესიო შენობათა შეკეთებაზე, ეკკლესიის კრებულთა ბინების გაკეთებაზე, შესამოსლების, ხატების და საეკკლესიო წიგნების ყიდვაზე საზოგადოებას დახარჯვია 8,574 მ. 40 კ., თბილისის ეპარქიალურ სანთლის ქარხნისათვის მიუცია 12,158 მ. 55 კ., რომელიც ვალად ჰქონებია აღებული საზოგადოებას. ერთი სიტყვით, საზოგადოებას გაუსტუმრებია ყოველივე ვალი. რადგან საზოგადოებას კაი ძალი ფულები ჰქონებია ხელში, ამიტომ მას მიუცია სამღვდელოებისათვის და მასწავლებლებისათვის არა მარტო 1885 წლის უკანასკნელი მესამედის ხვედრი ჯამაგირები, არამედ ასეთი ჯამაგირი უკლებლად მიულია სამღვდელოებას და მასწავლებლებს ამ საანგარიშო წელშიაც. საინტერესოა, აღვნიშნოთ ისიც, თუ საქართველოის საექსარხოსოის რომელ ეპარქიიდგან რამდენი ფულები შემოსულია საზოგადოებას კრუშკებით მობოჭილი: სტავროპოლის ეპარქიიდგან შემოსულა 703 მ. 60 კ., კავკასიის სამხედრო ოლქის უმთავრესი მღვდლისაგან 223 მ. 39 კ., საქართველოს ექსარხოსისაგან 137 მ. 73 კ., ვლადიკავკაზის ეპისკოპოზისაგან—118 მ. 83 კ., ბათუმის ეკკლესიისაგან—30 მ. 95 კ. და 17 მ. 94 კ. სასულიერო ორი პირისაგან, დასულ 1,228 მან. და 86 კ., რომელიც ცოტათი აღემატება ამ ფულებს, რომელიც მიულია საზოგადოებას ქალაქ პერმიდგან და სახელდობრ: 1,140 მ. 33 კ. («კავკაზი»).

---

## შეწირულებანი.

ქ. პერმის დაზიანებულ მცხოვრებლების სასარგებლოდ, წინადადებისამებრ იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, საფუძველსა ზედა უწმიდესი სინოდის უქაზისა, ბლაღოჩინის დეკანოზის დავით ღამბაშიძის საბლაღოჩინოში შეკრებილ იქმნა ორ კვირა-დღეს, წირვის შემდეგ, ეკკლესიის მოსამსახურეთა და მრევლთაგან ას შვიდი მანეთი და ორმოცდა ცამეტი კაპ.

ეს ფული შემოვიდა შემდეგი პირებისაგან.

1) ყვირილის ნათლის-მცემლის წინამძღვრის დეკანოზის დავით ღამბაშიძისაგან — 8 მ.
2) კვალითის წმ. ბარბარის ეკკლესიის მღვდლის იესე ხუსკივაძისაგან — — 10—11 კ.
3) ლახუნდარის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდლის პორფირე კავილაძისაგან 8— „
4) ცხრაწყაროს წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდლის ბესარიონ გველესიანისაგან 6—
5) ვარძიის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდლების იოსებ და დავით ანთაძეების და ივანე დეკანოიძისაგან — — 6—20 კ.
6) კლდეეთის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვ. ლეონტი მაჭავარიანისაგან — 6—17 —
7) ბოსლევის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის სპირიდონ სუხიაშვილისაგან — 6— 6 —
8) ფუთის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლების ალექსი სალაძის და სიმონ თუთბერიძისაგან 5—53 —
9) კვალითის დანიეთის მღვდლის რომანოზ გორგაძისაგან — — — 5—20 —
10) შროშის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის ნიკოლოზ ღამბაშიძისაგან — — 4—80 —
11) ტაბაკინის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. ბესარიონ კელენჯერიძისაგან — 4—10 —
12) ხონის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის დავით ჭონიშვილისაგან — — 4—
13) ჭაბუკის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის გერასიმე ხუსკივაძისაგან — — 3—60 —
14) შროშის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდლის დიმიტრი ანთაძისაგან — — 3—44 —
15) იგორეთის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდლის სპირიდონ გორგაძისაგან — — 3—65 —
16) საწაბლის მთავარ-ანგელოსის ეკკლესიის მღვდლის დავით გველესიანისაგან — 3—20 —

ეროვნული ბიბლიოთეკა

17) ილემის მღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვ. ისაია იოსელიანისაგან — — 3—17 —

18) აჭარის მღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვ. ეფრემ გაჩეჩილაძისაგან — — 3— 1 —

19) ხიდრის წმ. გიორგის ეკკლესიის მღ. ანდრია ბერაძისაგან — — — 3—

20) შროშის მიძინების ეკკლესიის მღვდლის სამსონ ცქიტიშვილისაგან — — 2— 9 —

21) ბოსლევის ჯვარცმის ეკკლესიის მღვდლის იოსებ მჭედლიძისაგან — — 1—60 —

22) კიცხის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის გიორგი მაჭავარიანისაგან — — 1—50 —

23) სანახშირის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვ. სოფრომ მაღლაკელიძისაგან — 1—50 —

24 { წევის წმიდის გიორგის ეკ. მღვდლის ლუკა მაღრაძისაგან — — — ,, 50 —
იმავე ეკკლესიის მღვ. მაკარი გაჩეჩილაძისაგან ,, 50 —
წევის წმ. გიორგის ეკკლესიის მრევლისაგან 2—60 — }

25) კინოთის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლისაგან არაფერი — — — ,,— ,, —

და სრულიად — —107—53 —

ეს ფული (107 53 კ.) გაეგზავნა იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს გარდასაცემად კუთვნილებისამებრ.

## გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ რომელთაც გორის სასულიერო სასწავლებელში ყმაწვილების მიბარება ჰსურთ, მათ უნდა მისცენ თხოვნა სასწავლებლის ზედამხედველსა აგვისტოს პირველი რიცხვიდამ ოცდახუთამდე; თხოვნის გარდა მთხოვნელთა უნდა წარადგინონ მოწმობა ყმაწვილის ნათლობისა და მასზედ, რომ ყმაწვილს ან უხდია და ან აცრილი აქვს ყვავილი.

სასწავლებელში მისაღებად ყმაწვილების გამოცდა იქნება აგვისტოს 28 და 29-სა.

მოსამზადებელი კლასის პირველს განყოფილებაში ყმაწვილები მიიღებიან გამოუცდელად.

(3—3)

ქუთაისის პეტრე-პავლეს საეკკლესიო-სამრევლო სკოლის გამგე ამით უცხადებს მშობლებს, რომ ყმაწვილების მიღება ამ სკოლაში დაიწყება 25 აგვისტოდამ. ყმაწვილებმა სკოლაში შემოსვლის დროს უნდა წარმოადგინონ საჭირო საბუთები და სახელდობრ: მეტრიკული ამოწერილობა ყმაწვილის შობაზე და მონათვლაზე და მოწმობა, რომ ყმაწვილს ნახადი ან აცრილი აქვს ყვავილი.

სკოლა, თუმც მტკიცედ ადგია უმწმიდესი სინოდისაგან დამტკიცებულ საეკკლესიო-სამრევლო სკოლების პროგრამმას, მაგრამ ამავე დროს მეცადინობს შეასწავლოს ყმაწვილებს გიმნაზიების და პროგიმნაზიების მოსამზადებელი კლასების კურსი, რომ ყმაწვილებს შეეძლოსთ ამ სასწავლებლების პირველ კლასებში შესვლა. სწავლის ფასი მთელი წლისა არის 16 მანეთი; ამ ფულებში რვა მანეთი უნდა ყმაწვილმა წარმოადგინოს სკოლაში შესვლის დროს, დანარჩენი 8 მანეთი პირველს იანვარს.

თხოვნები და საჭირო საბუთები შემოტანილ უნდა იქმნენ ამ სკოლის გამგეს სახელზე.

სკოლის გამგე მღვდელი ნ. ხუციევი.

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი: მართებლობის განკარგულებანი.—მოწერილობა იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა.—არა ოფ. ნაწ. ერთი უმთავრესი საშუალება ხალხის ეკკლესიებში შეკრებისათვის წირვა-ლოცვას მოსასმენად.—დია წერილი მოძმესთან.—სამეგრელოდამ.—უსუთის საზოგადოებიდგან.—მაღალყოვლად უსამღვდელოესი ისიდორე, მიტრაპოლიტი ნოვგოროდისა და პეტერბურგისა.—ადრიანოპოლიდამ.—სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.—შეწირულებანი.—განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 1887 г. 15 августа*

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავალი ეკკლესიის სასარგებლოდ. მაგრამ, როგორც გავიგე, ყველა შესაწირი არ მიდის თურმე ეკკლესიის სასარგებლოდ. ამ ეკკლესიის გასაღები ჰქონებია ხელში სტაროსტას და მოსამსახურეს (сторожъ). ქვირა და დღესასწაულ დღეების გარდა მლოცველებს ხშირად მოჰყავსთ თურმე ზვარაკები ხატის შესაწირად. სტაროსტსა და ეკკლესიის მოსამსახურე მღვდლის შეუტყობლად აღებენ ეკკლესიას და თვით სწირავენ ამ შესაწირავებს, მაგრამ ვის სასარგებლოდ მიდის შეწირული ზვარაკები, კაცმა არ იცის. ამიტომ ურიგო არ იქნება, ამ საქმეს ყურადღება მიექცეს, რომ ყოველივე შესაწირი ეკკლესიის სასარგებლოდ მიდიოდეს და არა გარეშე პირთა ჯიბის სასარგებლოდ.

ამ საზოგადოებაში მცხოვრებ ხალხში დაშთენილია დღემდის ბევრი ძველი არა ქრისტიანული ჩვეულება. სხვათა შორის დავასახელებ შემდეგს: ზოგიერთი გლეხები კვახის (გოგრა) ქერქში აწყობენ თურმე პატარა კოკრებს, ცხვრის ბალანს და ლობიოს. შემდეგ მოუწოდებენ მღვდელს და სთხოვენ მას ამაების კურთხევას. როცა სადილად დაჯდებიან, ჯერ იმ ნაკურთხ ლობიოს შესჭამენ ყველანი და მერე სხვა საჭმელებს მოიტანს მასპინძელი სუფრაზე. კაცმა არ იცის, თუ რა მნიშვნელობას აძლევს შემწირველი ამ შესაწირს. ადგილობითი მღვდელიც უსრულებს მსურველთ ამ წესს, მაგრამ ის კი არ ვიცი, თუ მღვდელ-მოქმედების დროს რა ლოცვებს კითხულობს სულიერი მამა?

რაც შეეხება მკითხავებს და მატყუარა ექიმებს, ამათ სწორეთ ბუდე ამ სოფელში ჰქონიათ გაკეთებული. ყველაზედ უფრო სამწუხარო და ყურადღების მისაქცევი შემდეგი მოვლენაა. ამ საზოგადოებაში სცხოვრებენ თურმე ერთი მოხუცებული კაცი და ერთი ქალი. კაცი სცხოვრებს სოფელს ძულუხს და ქალი— რომანეთში. როცა ვინმე გახდება ავად ამ საზოგადოებაში, ეს პირნი მაშინვე ავად-მყოფის სახლში გაჩნდებიან. გაშინჯვენ ავად-მყოფს და მერე საიდუმლოდ ეუბნებიან ჭირისუფალს: «შენი ავად-მყოფი ქლექით არის ავად და, რომ სხვებსაც არ გადაედოს, გირჩევთ ავად-მყოფი სადმე შორს გადააწვინო. ჭირისუფალი მაშინვე შორეულ ტყეში აკეთებს კარავს, გადაჰყავს იქ თავის ავად-მყოფი და ამ პირებს აყენებს თავზე მოსავლელად და დღეში მათ თითო მანეთს აძლევს ქირად. მშობლებისაგან მოძულებული ავად-მყოფი ვარდება სასოწარკვეთილებაში, თავის იმედი აღარ აქვს და ეს ფიქრი მალე უსპობს სიცოცხლეს. გარდაცვალებულს იმ დღესვე ჩუმათ ასაფლავებენ ეს პირნი. არც მღვდელს და არც სხვა ვინმეს არ ატყობინებენ, და კიდეც რომ შეატყობინონ ვისმეს, ვინ მიეკარება, მათ, როდესაც ჭირისუფალნიც არ ესწრებიან თავიანთი მიცვალებულის დასაფლავებაზე. შემდეგ ამ მატყუარა პირთ მიაქვსთ ყოველივე, რაც კი მიცვალებულს რჩება და მასთან დიდძალი დღიური ქირაც. შეიძლება ავად-მყოფი სულ სხვა სენით იყოს ავად და მოუვლელობით ჰკვდებოდეს, მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი!

საჭიროა ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება მიექცეს და ამ მატყუარა პირთ აღეკრძალოთ თავიანთი საზიზღარი მოქმედება. თორემ ისინი ბევრ ადამიანს გამოასალმებენ სიცოცხლეს. მით უმეტეს საჭიროა ამ საქმეს ყურადღება მიექცეს, რომ, როგორც გაგვიგონია, ქლექით ავად-მყოფების თავდეგებმა ერთი საზიზღარი საშუალების ხმარება იციან თურმე და შეიძლება ზემოდ მოხსენებულნი პირნიც, მართლა, ამ საშუალებას ხმარობდენ. ქლექით ავად-მყოფების თავდეგნი არწმუნებენ თურმე ჭირისუფალთ, რომ ქლექით ავად-მყოფს გულში პეპლები უჩნდება და, როცა ჰკვდება, მისი გულიდგან ამოდიან პეპლები და მიცვალებულის მონათესავეთ გულში ჩადიანო და, რომ პეპლები არ ამოვიდეს მიცვალებულის გულიდამ, საჭიროა ავად-მყოფს სიკვდილის დროს ხალთა (ცხვრის ტყავი) ჩამოაცვა თავზე და ყელთან ბაწარი უნდა მოუჭირო მაგრად. ამ საშუალებით შეიძლება თავდეგებმა ძალათი მოჰკლან კაცი, როცა ისინი კაი ძალი ფულს აიღებენ ავად-მყოფის მოვლისათვის და თან კიდეც მობეზრდებათ სნეულის მოვლა. იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევენ როგორც ადგილობითი მღვდელი, ისე სხვანიც.

მედავითნე ბე—ონ კ—იანი.